გაზეთი ღირს:

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1886 წელიწადი


**გაზეთი „ივერია" 1 ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან. 50 კაპ.**

### განცხადება

ბბ-ნო ქართველო არტისტო, რომელთაც ჰსურთ მომავალ თეატრის დასში მონაწილეობის მიღება, შეუძლიანთ მიმართონ 20 ივნისამდე ქართულ თეატრში ყოველ დღე 11 საათიდგან 12-მდე თ. ვასილ თუმანიშვილს, რომელსაც ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან მინდობილი აქვს დასსის შედგენა. (2—2)

ტფილისი, 7 ივნისს

ჩვენ წინა წერილში ბ-ნ აკაკის საპასუხოდ ისა ვსთქვით, რომ მეტის-მეტი სიფრთხილეა კაცმა კეთილი იმითი დაიწუნოს, რომ ჩვენ მისდა მისაღებად მომზადებულნი არა ვართო, ჩვენთვის ახალი ხილიაო. ბატონ-ყმობის გაუქმების საქმე იქიდამ წარმოსდგა, რომ კაცმა კაცი კაცად იცნო და ამ კეთილის ცნობისათვის იქნება ბევრი მომზადებული არ იყო, იქნება იმათ, ვისაც ეს შეეხებოდა, არ იცოდნენ, როგორ უნდა მოეხმარათ თავისუფალი, არა-ბატონ-ყმური შრომა, იქნება იმათ, ვინც ყმობიდამ გამოდიოდნენ, არ იცოდნენ როგორ უნდა შეეშვნივათ მინიჭებული თავისუფლება, იქნება არც იმათ, ვისაც ჩამოერთვათ ბატონობა, არ იცოდნენ როგორ განწყობილიყვნენ და მოთავსებულიყვნენ უყმოდ, მაგრამ სიკეთის და სიმართლის ძლევა-მოსილობამ ამაებს ყური არ ათხოვა და თავისუფალი, არა-ბატონ-ყმური შრომა დაიდვა საფუძვლად ეკონომიურ ცხოვრებისად.

ვერავინ იტყვის უარს, რომ ბატონ-ყმობის გაუქმებამ პირველ ხანებში მრავალი ოჯახი უკან არ დასწია, მრავალიც სულ პირქვე არ დაამხო და გაანადგურა, მაგრამ ამით სახელოვანი საქმე ბატონ-ყმობის გაუქმებისა არავის დაუწუნებია, არავის იმისთანას, ვისაც სიკეთე ამ საქმისა ბინდ-ბუნდად არ ჰქონდა წარმოდგენილი. განა ბატონ-ყმობის გაუქმების წინააღმდეგ ცოტას იძახოდნენ, რომ ეგ ჩვენთვის ადრეაო, ჯერ მაგისათვის მომზადებულნი არა ვართო, ცოდნა მამულის კეთებისა ჩვენში არ არის და თავისუფალ შრომისა და გარჯისათვის ჯერ არც ღონე გვაქვსო და არც გამოცდილებაო. ყოველივე ეს ზოგან მართალიც იყო, მაგრამ ამან არ შეაფერხა საქმე. ამასვე იძახოდნენ წინააღმდეგ ახალის სამართლის შემოღებისა, ერობის დაარსებისა და თითქმის რკინის გზების გამართვის წინააღმდეგაც. მაგრამ ყოველივე ეს, კაცთა სასახელოდ, დაიმართნენ და დღეს მოქმედებაში არიან.

კეთილი იმისთვის არის კეთილი, რომ იმის მისაღებად არავითარი მომზადება არ უნდა: ყველას მოუხდება, ყველას არგებს. მაშასადამე დაწუნება და უარ-ყოფა ახლად შემოღებულისა მარტო იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის ადრეა და ჩვენ მისდა მისაღებად მოუმზადებელნი ვართო, ჩვენის ფიქრით, შეცდომაა. ყოველს სიკეთეს, ყოველს ღონეს და სახსარს გზა შეეღობება, თუ კაცმა ხელ-ზედ დაიხვია და სთქვა: აცა ჯერ მზად არა ვართო. ჩვენის ფიქრით, მარტო ეს არ უნდა ეგმაროს მაგისთანა საბუთს დაწუნებისას. ეგ საბუთი გარდა იმისა, რომ უმართლოა, მავნებელიც არის: ბევრს სიკეთეზედ ხელს დაგვაბანინებს, რომ მაგას ავყვეთ.

„ცხადი იყოო, ბძანებს ბ-ნი აკაკი: რომ ისინი (ესე იგი, ქართველები) ბანკიდან ადვილად გამოტანილ ფულს იმავე დღეს დააყენებდნენ, რაც ყმაში აღებულს; მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ მეორე შემთხვევაში ფული ვალად აწვებოდათო... „ფული ადვილად გამოჰქონდათ და სარგებლის შეტანის დროს ხელ-ცარიელები რჩებოდნენ. რასაკვირველია, რომ მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ. მამა-სისხლად ილებდნენ განზედ სადმე სესხს და მით უფრო უარესს საფთხეში ვარდებოდნენ"... და სხვანი.

კაცმა რკინის გზის ათვალწუნება რომ მოინდომოს, ამ სიტყვებს იქაც საბუთად გამოიყენებს, თუ ცოტაოდნად რკინის გზის შესაფერად შესცვლის მაგალითებსა. მაგალითებრ:

ცხადი იყო, რომ ქართველები რაკი ამისთანა ადვილად სასიარულო სახსარს ჰნახავდნენ და ასე იეფსაც, შინ ოჯახის მოსავლელად აღარ დადგებოდნენ და უმისოდაც ოჯახზედ ხელ-აღებულნი, მისვლა-მოსვლაში გაატარებდნენ თავის ცხოვრებას. ჯერ როცა ეგ რკინის გზა არ იყო, მაშინ არა დგებოდნენ სახლში და ეხლა რაღა დააყენებდათ. გარდა ამისა ჯერ როცა რკინის გზა არ იყო, თავისის საკუთარის ცხენით ილად მიდიოდნენ წასვლა-მოსვლაში და ფულად ხარჯი არ მოსდიოდათ. რკინის გზისათვის კი ნაღდი ფულია საჭირო და რადგანაც ეგ სანუკვარი ხშირად მწყრალად არის ქართველთან, ამისათვის ქართველები იძულებულ იყვნენ ვალი აეღოთ ხოლმე და ამ სახით ჰკარგავდნენ დროს-დროდ და განზედ ნასესხი ფულიც ვალად აწვებოდათ. ადვილად სიარულისათვის აღებულს ვალს მოშორება უნდოდა, მოვალენი აწუხებდნენ, ემუქრებოდნენ, მამა-პაპეულს გაგიყიდითო და, რასაკვირველია, მამა-პაპეულის დაკარგვა ენანებოდათ და თავს აღარ იზოგავდნენ, ოღონდ კი ამ შემთხვევას გადარჩენოდნენ. მამა სისხლად ხელ-ახლად ილებდნენ განზედ სადმე სესხს ვალის-მოსაშორებლად და მით უფრო უარესს საფთხეში ვარდებოდნენ... და სხვანი და სხვანი.

ნუ თუ აქედამ ის გამოდის, რომ რკინის გზა ჩვენთვის მავნებელია! არა გვგონია. როგორც რკინის გზა არ არის მავნებელი იმით, რომ ადვილად სასიარულო სახსარი მოგვცა, ისეც ბანკი, რომ ძნელად საშოვარი ფული ადვილად საშოვარი გაგვიხადა. ბანკი არაფერს შუაშია, თუ ვინმე ფულს გაიტანს იმისათვის, რომ წყალში გადაჰყაროს, ან ტყუილ უბრალოდ, უხეიროდ გაჰფლანგოს. განა უბანკოდ დიდ-დიდნი მამულები კი არ გაუფლანგავთ!... გამოდის, რომ მამულები არა ჰქონოდათ, არც გაჰფლანგავდნენ. მაშ მამულის ქონვაც მავნებელი ყოფილა. ესე რომ ვიაროთ, შორს წავალთ, იქამდე მივალთ, რომ ფულიც მავნებელი იქნება, იმიტომ-რომ ბევრი ფულს დაჰხარბდება ხოლმე და მამულებსა ჰყიდის, აღებ-მიცემობაც ერთობ მავნებელი იქნება, ამიტომ-რომ აღებ-მიცემობა არ იყოს, არც ყიდვა-გაყიდვა მამულებისა იქნება და მამულები პატრონებს ხელ-უხლებლად შეჰრჩებათ.

თუნდ ეგეც არ იყოს, სად იყო ჩვენი ბანკები, რომ მთელი ტფილისი გაიყიდა და დღეს ერთი მტკაველიც არ არის თითქმის, რომ თავის თავდაპირველს პატრონს ეჭიროს. სეიდაბათიდამ მოყოლებული ვერამდე და მთა-წმინდიდამ მახათამდე მთელი ტფილისი სუმბათიანთი, მუხრანიანთი, ციციანთი, ამილახვრიანთი, ორბელიანთი, გაბაანთი და სხვებისა იყო და ეხლა კი რას ვხედავთ? ჩვენა გვგონია, რომ მაშინ ფული ესე ადვილად საშოვარი ყოფილიყო, როგორც დღეს ბანკების მეოხებით არის, თუ სულ არა, კარგა მოზდილი ნაწილი მაინც შერჩებოდათ თავიანთ თავდაპირველს პატრონებსა. ვერაფერი თოკები ვერ გაუძლებს ერთს რკინის კანონს საპოლიტიკო-ეკონომიისას: მამული და ერთობ ყოველი ქონება უხეირო ხელს ეცლება და მიიზიდება ხეირიან ხელისაკენ;

# ფელეტონი

## საკვირაო სხარტულა

გოგოლის გმირი—ნემეცთ-ყლაპია.—რას უჩიოდა ის „ნემეცს"?—ჩვენი აქტიორები და მათი ყოყოჩობა.—ჩივილი საზოგადოებაზე.—რა შეუძლიან უპასუხოს საზოგადოებამ.—ჩემი მეგობარი და მისი გულისწყრომა.—მოკლული კამოლეტი.—რა ეჭირვება მელპომენას?—საყურადღებო წერილი.

გოგოლის ერთი გმირი—ლოთი და არამზადა ხარაზი,—სულ იმას სტირის და იმის ჩივილშია, რომ «ნემეცმა შეგვჭამა», «ნემეცმა სიცოცხლე ჩაგვამწარაო». ამ ვითომ და ჭეშმარიტების დასამტკიცებლად მას მუდამ ერთი და იგივე საბუთი მოჰყავს:

— ა, ბატონო, შეხედეთ, აბა თუ ერთი შემოვიდეს ჩემთან წაღების შესაკვეთად, მაშინ როდესაც ჩემს მეზობელს შულცს მოცალება არა აქვს,—ისე ბუზსავით ეხვევიან მუშტრებიო. ამაზე მეტი დამტკიცება, რომ ნემეცი ჩვენი სულთა-მხუთავია, განა კიდევ შესაძლებელიაო?!

ამ საბუთის მოყვანის დროს ერთი მცირე რამ გარემოება ავიწყდებოდა პატივცემულს ნემეცთ-ყლაპიას. საქმე იმაშია, რომ ნემეცი შულცი ნამდვილი ნემეცი იყო, ესე იგი გამრჯელი, სწორი, სიტყვის ამსრულებელი კაცი, რომელიც თუ რამეს იკისრებდა, კიდეც აასრულებდა რიგიანად, არ მოატყუებდა, არ უღალატებდა მუშტარს... გოგოლის გმირს-კი არ მოსდგამდა ეს თვისებანი. იგი ლოთიც იყო, მატყუარაც და უსინიდისოც საქმეში, ასე რომ შეკვეთილს წაღას, ხეირიანის ტყავის მაგიერ, ქაღალდს თუ გაუკეთებდა ლანჩად, იგიც დიდ პატიოსნებად მიაჩნდა თავის მხრით... მიუხედველად ამისა, ის მაინც თავისას არ იშლიდა და თავის უბედურების მიზეზად ჰხადდა «ნემეცს», რომელიც გვჭამს და რომელმაც «სიცოცხლე დაგვიმწარაო».

— შეგვჭამეს, წმინდად შეგვჭამეს ამ ყურუმსაღებმაო, ამბობდა იგი სიფხიზლეში და სიმთვრალეში და ვერ გაეგო, რაა მიზეზი, რომ შულცი მის მჭამელად დაბადებულა და თვითონ კი იმავე შულცის ლუკმად და სასუქად გაჩენილა დედა-მიწაზე.

— დალახვროს ღმერთმაო! დაამატებდა ოხვრით სალოდავი და მიეშურებოდა სამიკიტნოსაკენ პილატის ცრემლის სასხურებლად.

* * *

ამ საბრალო გმირს მაგონებენ ჩვენი ეგრედ წოდებული „არტისტები", როცა ვაკვირდები მათს ყოფა-ქცევას და მესმის მათი ჩივილი რუსის არტისტებზე... ისინი რა კაი დღეში არიან და ჩვენ კი ლამის სიმშილით დავიხოცნეთო! მოგეხსენებათ, რა სწორის და უტყუარის აზრისა არიან ჩვენი არტისტები თავიანთ თავზე. გვარიანად თუ შეასრულა რომელმამე არტისტმა-ქალმა ერთი ან ორი, თუნდა უმნიშვნელოც როლი, ბუზს არ იჯენს მემრე, რას მიქვია, ვის მიქვია, სარა ბერნარი ვარო; თუ ივარგა და გააცინა აქტიორმა საოხუნჯო პიესაში საზოგადოება, ნუ ეკარები ახლოს,—ის რუა, ის ქიუტოა, ის კოკლენია და ყველა ქედს უნდა იდრეკდეს მის წინ. თუ ფართოდ გადმოდღაჩა თვალები და შორს გაშალა ხელები საყველ-პურო „დრრრრამაში" რომელმამე უნიჭოებამ (სახელ-წოდება მათი შენ უწყი, ჰოი უფალო!),—გაუშვი და გაუარე!—ვინ არის როსსი, რა არის როსსი, სადაურია როსსი?! მთელი მათი სიცოცხლე მემრე სულ იმაში გადის, რომ ან ჰკვირობენ, როგორ და რა ნაირად დაგვბადა დედა-მიწამ ამისთანა გენიოსებიო, ან და სხედან და აყვედრიან საზოგადოებას. ეს ბატონი საზოგადოება ხომ მათთვის უგრძნობელი გრდემლია, რომელიც იმისთვისაა გაჩენილი, რომ კვერი სცენ თავში. ერთი უწყრება, როგორ თუ ძეგლი არ დამიდგი ამდეხანსო, მეორე სჩივის—პენსია მერგებოდა მამულის წინაშე დამსახურებისათვისო და შენ კი ყურსაც არ იბერტყავო, მესამე და მეოთხე, — მაგრამ ვინ მოსთვლის ყოველს აბდა-უბდას, რომელიც თავსდება ხოლმე ხან-დახან ზოგიერთს თავში?.. მათი ბედი კიდევ, რომ საზოგადოება ჩვენში რაღაც განყენებული წარმოდგინებაა, თორემ ის რომ ნამდვილი, რეალური რამ იყვეს, ერთხელ მაინც უკუ-აგდებდა სიზარმაცეს, ამოიღებდა ხმას, დაისვამდა ხელის გულზე, როგორც ანტეი პიგმეებს, ამ სასაცილო ქონდრის კაცებს და რიხიანის ხმით ჰკითხავდა:

— რის ფლავი, რის ჩლავი, სალოდაო ჭია-ჭუებო! რის გენიოსობა, რის დამსახურება, რაში იჩინეთ თავი? რა ღვაწლი და შრომა მიგიძღვისთ სცენის და საზოგადოების წინაშე? თუ მართლა ნიჭი გამოაჩნდა რომელსამე თქვენგანს, იზრუნვა მან მის გასაფურჩქვნელად, გადასაშლელად? ისწავლეთ რამე, შეიძინეთ რამე? ჰქენით რამე საქმის სასარგებლოდ? არა, კიდევ არა, ათი ათას ჯერ არა!!.. თქვენ დღესაც იმ ნაირი უმეცარნი ხართ თქვენს საქმეში, როგორიც იყავით ამ ათის წლის წინედ, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ უაზრო ყოყოჩობა და საზოგადოების მასხარად აგდება ეხლა უფრო გემარჯვებათ, ვინემ ადრე. თქვენი შრომა და თქვენი ღვაწლი იმაში გამოჩნდა მხოლოდ, რომ საუკეთესოს ნაწილს საზოგადოებისას გული აუცრუეთ თეატრზე, ზურგი შეაქცევინეთ მისთვის, რომ მდაბიო ხალხის გემოვნება წაახდინეთ უაზრო და უგემურის პიესების თამაშით, რომ თვით სახელი სცენის მოღვაწისა შებღალეთ სხვა-და-სხვა არა სასიქადულო მოქმედებით და ქცევით... ამისთვის ძეგლი, ამისთვის პენსია, ამისათვის მუხლთ-დრეკა და თაყვანის ცემა?!.. მე ისიც მენანება, რომ ორიოდე გროში ამოვიღე თქვენთვის ჩემის თავგების საბუდარ ჯიბიდამ!..

როგორ გგონიათ, მკითხველო,

მცონარეს ეთხოება და გამრჯელისაკენ, მშრომელისაკენ იწევს და მიეზიდება დაუყოვნებლივ და გაბეჯითებით. ამას არაფერი ღობე წინ ვერ აღუდგება და ვერ დაიჭერს. ამის წინააღმდეგ ყოველივე მეცადინეობა უქმია და ამაო. გაისარჯე და ეს აღარ იქნება.

ბ-ნის აკაკის სიტყვებიდამ მარტო ერთი დასკვნა შესაძლოა კაცმა გამოიყვანოს, მარტო ერთი დარიგება: ნუ აიღებთ ბანკის ვალს, ვისაც სურვილი, ღონე და გარჯა არა აქვს აღებულის სესხით მამულის მოქმედება განაძლიეროს, უფრო გაანაყოფიეროს, უკეთესს დონეზედ დააყენოს და ამით ვალსაც გაუძლვეს და პატრონსაც არგოს. თუ მამულის განკარგებისათვის პატრონს საკუთარი სახსარი არა აქვს, იმ სახსარს საადგილ-მამულო კრედიტი აძლევს, ესე იგი, იგი კრედიტი, რომელიც შეფერებული და შეწონილია მიწისა და მიწათმოქმედების თვისებასთან. თორემ ბანკმა ვნება მოგვიტანა იმითიო, რომ ადვილად ნასესხი ფული, გაუფთხილებელს კაცს ჰღუპავსო, და ამიტომაც ბანკი უარსაყოფელიაო, ამის თქმა შორს წაგვიყვანს. ვის დაუშრია წყალი იმიტომ, რომ ზოგიერთს გაუფთხილებელ კაცს არჩობს!... აქედამ მარტო ერთი გონიერი დარიგება გამოდის: წინ დაუხედავად, გაუფთხილებლად წყალში ნუ შესტოპავს. ამის მაგიერ რომ ეს უთხრან გაუფთხილებელთ, მოჰყოლიან და ეუბნებიან, წყალი დააშრეთო.

## ახალი ამბავი

*** კვირას ამ თთვის რვას, ტფილისში იქნება კურთხევა ახლად გადაკეთებულის კათოლიკეთ ღვთისმშობლის საყდრისა, რომელიც შუა-ბაზარშია. ამ ეკკლესიის აშენება წარსულის საუკუნის დასასრულს ეკუთვნის, 1793 წელსა და დასრულებულია 1806-სა, განახლებული ეკკლესია გოთიკურის არხიტექტურისაა, როგორც გარეგანის შეხედულობით, აგრეთვე შინაგანისა. ამ საყდრის და აგრეთვე ამ რამდენისამე წლის წინად სკოლის სახლის ახლად აშენებაზე მოთავეობა ეკუთვნის პატივცემულს ეკკლესიის წინამძღვარს პატრს დიმიტრი თუმანიშვილსა. პირველად ამშენებელნი წარსულს საუკუნეში ყოფილან კაფუცინის ორდენის იტალიელი ბერები, იმ დროს მისსიონერები საქართველოში, რომელნიც იმყოფებოდნენ აქ 1846 წლამდე.

*** როგორც ამბობენ, ლალიევის საქმის გამოძიებას მორჩომილან და ამ დღეებში გარდასცემენ სამხედრო პროკურორს განაჩენის დასადგენადაო.

*** ქალაქის სასწავლებლებში ეგზამენიები მორჩა და ყმაწვილები და მასწავლებლები სოფლებისაკენ გაიფანტნენ სიცხეების გამო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით, ტფილისში წარსულს 1885 წელს შემდეგი უბედურება და ავ-კაცობა მომხდარა: კაცის მკვლელობა—15 ყოფილა, კაცის მოკვლა სდომებიათ—7-ჯერ, თვით მკვლელობა ყოფილა—7, დაუჭრიათ—57, გაუძარცვავთ—29, გაუქურდავთ კლიტის გატეხით—60, გაქურდვა სდომებიათ—15-ჯერ, კლიტის გაუტეხლად გაუქურდიათ—174, ყალბი ფული გაუსაღებიათ—6-ჯერ, ცეცხლი წაუკიდებია—7, ეკკლესიის მკრეხელობა მოუხდენიათ—2 და ნაძალადეობა—5.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, ტფილისის ტუსაღების გასაგზავნ ციხეში ყოფილა დამწყვდეული 2,302 სული: ამათში 109 ქალი; გაუგზავნიათ სხვა-და-სხვა მხარეს 1,958 სული და პირველს იანვარს 1886 წლისას 344 დარჩომილა. მეტეხის ციხეში მჯდარა 649 ტუსაღი, გასულა 372 და 1886 წლის 1 იანვარს 277 ტუსაღი დარჩომილა; ამას გარდა პოლიციაში მთელს წელიწადში მჯდარა 1,271 სული და 1 იანვრისთვის 1-ლა დარჩომილა. მთელის წარსულის წლის განმავალობაშივე 7 გაქცეული ჯარისკაცი დაუჭერიათ და 570 უბაშფორთო.

*** შორაპნიდამ გვწერენ, რომ სოფელ სალანგილეში ერთს გლეხის ზურაბა ნიკოტაშვილის ცოლს საოცარის სანახავის ყმაწვილი მიეცაო. თავი ამ ყმაწვილს ხუთ გოჯზე მეტი ექმნებაო და ისე რბილია, თითქო ძვალი სულ არა აქვსო. ამას გარდა ზურგი გამოჭმული აქვს სამს გოჯზედაო. გლეხს ურჩიეს, ექიმს მიმართეო, მაგრამ მან ეს ვერ შეიძლო თავის სიღარიბის გამოვო.

ამავე სოფელში ერთს დედა-კაცს სამი შვილი ერთად დაებადაო. მშობლები ისე შეშინდნენ, რომ არ იცოდნენ, რა ექმნათო. ახლად დაბადებულებს მომვლელი არავინა ჰყავს და, უეჭველია, სიმშილით დაიხოცებიანო.

*** აბასთუმნიდგან მოუწერიათ, რომ აქ ამ წელს ბევრი ავად-მყოფები მოვიდნენო. სამკურნალო აუზები წლეულს მშვენივრად არის მოწყობილი და წესებიც რიგიანია წყლებზეო. საუბედუროდ, სულ არ იშოვება იაფი ოთახებიო და მოსულები სასტუმროებში დგომასა რჩეობენ, სახლის დაქირავებასაო.

*** იმ დღეს, რა დღესაც აქ იყო გრიგალი, 4 ივნისს, გაზ. „ნოვ. ობო.“ სიტყვით, ელისავეტოპოლშიაცა ყოფილა. ხეები ამოუგლეჯია ძირიანად და სხვათა შორის ერთი უშველებელი ჩინარიც. ქარს სეტყვაც მოჰყოლია და სულ დაუზიანებია ბაღები. ყველაზედ მეტად ვენახები დაზიანებულან.

*** გრიგალი ყოფილა აგრეთვე ყაზახის მაზრაშიაც და იქაც საკმაოდ დაუზიანებია ბაღები და ვენახები, იქაური ხანში შესული კაცები ამბობდნენ, რომ ამისთანა ქარ-გრიგალს ჩვენ ჯერ არ დავსწრებივართო.

*** 14 მაისს სახელმწიფო რჩევას საბოლოვოდ გარდაუწყვეტია, რომ სურამის უღელ-ტეხილზედ გარს მოსახვევი რკინის-გზა გაკეთდეს. ამისათვის ამ ხნობითვე დაუნიშნავს ერთი მილლიონი მანათი. აქედამ 700,000 მანეთი ხაზინამ უნდა ჰხარჯოს გვირაბის გასაკეთებლად. გვირაბი 4 ვერსზე გრძელი იქმნებაო და დაჯდება 7 მილლიონ მანათამდეო. ხოლო 300,000 მანეთი უნდა დახარჯოს გზის სხვა ნაწილის გასაკეთებლად ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამაო. ამ სახით სურამის გვირაბი ყველა რუსეთის გვირაბებზედ უგრძესი იქმნებაო.

*** კანცელიარიაში, სადაც მათ უდიდებულესობის სახელზე შეაქვთ სხვა-და-სხვა გვარი სარჩივრები და ქაღალდები, «Петер. Газ.» სიტყვით, ამ ჟამად თურმე ურიცხვი თხოვნა შეაქვთ ცოლ-ქმრობის განქორწინების მსურველთ, და განქორწინებას თხოულობენ. ამის გამო მთავრობას განუზრახავს, გახსნას ცალკე დაწესებულება, რომელიც ცოლ-ქმრის შესახებ საქმეებს უნდა არჩევდეს.

## დამაკვირდი!

პირ-მოთნეობა იქ იწყობა, სადაც ქებას ადგილი არა აქვს. (დუსსო)

—

მნათობი კრიტიკისა უნდა შუქსა ჰფენდეს და არ კი სწვავდეს. (ჟუბერი)

—

მოკლედ იტყოდეთ: თუ გინდათ, რომ ყური გიგდონ, ეცადეთ ცოტას სიტყვით ბევრი სთქვათ. (ბუასტი)

—

უკვდელი კაცი გაიწევს,
დაეხსენ ქვეყნის ხოკასა,
ახლო მოდეგ და ნუ ესვრი
ქვასა სურვილის კოკასა.
(მეფე ვახტანგ VI)

—

სოფელი ესე მგზავსია
სავაჭრო შესაკრებელსა,
აქ თუ არ ვიღვწით, ვერ ვპოვებთ
სხვას კეთილთ მოსაკრებელსა.
(არჩილ მეფე)

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სამთავისი** (გორის მაზრა), 22 მაისს. 22 მაისს აქ დიდი დღეობა იყო. დღეობა ჩვეულებრივის ქართლის დღეობის სურათს წარმოადგენდა. დიდის საკრებულო ტაძრის გალავანი სავსე იყო ხალხით, რომელიც არა მარტო ლეხურის ხეობის სოფლებიდგან მოსულიყო აქ სალოცავად და დროს გასატარებლად, არამედ ბევრ სხვა ქართლის სოფლებიდგანაც. ამ დღეობის განსაკუთრებული ხასიათი ის იყო, რომ მლოცველი ხალხი გარს ერტყა ერთს უმშვენიერესსა და უტურფესსა ეკკლესიას, რომელიც ნაგებია მჭლის ხელოვნებითა და რომლის კედლები მოფენილია ჩუქურთმებით ცალკე და ბარელიეფებით ცალკე. ბარელიეფების შორის შესანიშნავია ყურძნის მტევნები, ცხოველები და სხვანი. ყაიდა ეკკლესიის ნაგებობისა წმინდა ქართულია, ჩვენებური და თითქმის სრულიად არ წაგავს ბიზანტიურს საარხიტექტურო ყაიდას. ჩვენებური ქართული ნაშენობა ეკკლესიისა იმით არის შესანიშნავი, რომ საზოგადო გეგმას დიდი სიმარტივე აქვს და შენობის ნაწილების თანასწორობას—სასიამოვნო ზედ-მოქმედება მაყურებელზედ. არც ერთი ხაზი, არც ერთი ნაწილი ამ გვარ ნაშენობაში მეტი არ არის და მაცრს დამკვირვებელს არაფერით არ ეჩოთირება თვალში. ამ გვარი ეკკლესიები შენდებოდნენ ჩვენში დასახლოებით მე-XI საუკუნიდგან დაწყობილი მე-XV და მე-XVI საუკუნემდე.

აი ამ გვარ ეკკლესიის დღეობა იყო სოფელ სამთავისს, რომელიც გაშენებუ-

---

რას იტყოდა ამის პასუხად ჩვენის სცენის წვრილ-ფეხობა?

***

ამას თვითონ თქვენ მიხვდით და მე კი იმას გეტყვით, რაც გადმომცა გუშინწინ ერთმა ჩემმა ნაცნობმა.

— წარმოიდგინეო! შემომძახა მან ოთახში შემოსვლის უმალ, შემომძახა იმ ხმით, რომელიც ჰნიშნავს, რომ კაცს გულში ნაღველა უდუღს და გადმოსდის,—წარმოიდგინე, რა უწესოება, რა უზრდელობა ვნახე გუშინ აქაურს თეატრშიო. მაგრამ რომელ ერთს მოვყვეო?! დავიწყოთ იქიდამ, რომ წარმოდგენა, რომელიც, აფიშის ძალით, უნდა დაწყებულიყო რვა საათზე, დაიწყო იმ დროს, როცა მამა ჩემს სოფელში სწორედ მესამე სიზმარი ექნებოდა ნახული, ესე იგი ათ საათზე!.. რას უცდიდნენ ამდენხანს—ვფიქრობ და ვერ მიმხვდარვარ! ნუ თუ საზოგადოებას კაცად არ აგდებენ და პატივის ღირსად არა ხდიან? კარგი!.. ეს, ვსთქვათ, არაფერი! დაიწყო წარმოდგენა. „არდგენდნენ“ კამოლეტის დრამას: «მონასტრის ზღუდეთ შორის, ანუ და ტერეზია». ვისაც კარგს სცენაზე უნახავს ეს დრამა, იცის რა ზედ-მოქმედება აქვს მაყურებლებზე. აქ კი პირველი შთაბეჭდილება, რომელიც იქონია მან ჩვენზე, ის იყო, რომ არც ერთმა მოთამაშემ როლი არ იცოდა. ამას კიდევ გაუძლებდით როგორც იქნებოდა, მისთვის რომ ქართული თეატრი მისთვისაა ქართული, რომ როლის შესწავლა მეტი საქმეა და ქართული საზოგადოებაც მისთვისაა ქართული, რომ მიუტევებელი მიუტეოს ჩვენს კადნიერ არტისტებს. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ მარტო ეს არ დაგვაჯერეს ბბ. აქტიორებმა. იმ ერთს მოქმედებაში, რომელსაც ამ ნაირი ზედ-გავლენა აქვს ხალხზე და რომელშიაც მწკრივად გამოდიან სცენაზე მონოზნები,—ჩვენ დავინახეთ იმ გვარი სანახავი, რომ, ტირილის მაგიერ, უნებლიედ უნდა გადაგვეხარხარა. სცენაზე გამოვიდნენ მონოზნებად ჩაცმულნი ბიჭ-ბუჭები, რომელნიც, თავის შეხედვით, მკვდარსაც კი გააცინებდნენ. და აი ყველამ ერთად კიდეც მოვრთეთ სიცილი: ვიცინოდით ჩვენ, კასკასობდნენ აქტიორები და აქტრისები, მათ ბანს აძლევდნენ თვითონ ახირებული მონოზნები.... ეს იყო ნამდვილი დრამა: საბრალო კამოლეტი დიდის ამბით დაჰკლეს დანით სცენაზე და დამარხეს ...სიცილით... ღამის ორს საათზე მოვრჩით ჩვენ ამ ახირებულს წარმოდგენას, თვითონ მიხვდი რა გრძნობით...

***

მელპომენა, მელპომენა, მშვენიერო ღმერთავ! ერთი ათად უკეთესი და უმშვენიერესი იქნებოდი, რომ ხან-და-ხან მაინც მიჰბაძავდე ჩვენს მზარეულებს და ალიჭურვებოდე ცოცხით. ტაძარი, რასაკვირველია, ტაძარია, მაგრამ მასაც უბრალო სახლსავით ეჭირება დაჰგვა!..

ვიმედოვნებთ, რომ დრამატიული საზოგადოება, რომელშიაც თეატრის მცოდნე და მოყვარული კაცები ურევია, მოახერხებენ ამ საქმეს...

***

იმ ნაირია რაღაც ჩვენის არტისტების ბედი, რომ როგორც კი ჩამოაგდებ მათზე ლაპარაკს, ძალა-უნებურად მერე უნდა გადახვიდე გიჟებზე. მე არ ვიცი, თუ რა არის ამის მიზეზი, მაგრამ ეს კი ასე მოგვდის ამ ჟამადაც. გუშინწინ ბ-ნ პ. იოსელიანისაგან მივიღეთ ჩვენ შემდეგი წერილი, რომელზედაც მივაქცევთ იმათ ყურადღებას, ვისიც ჯერ არს:

წმიდა დავითის ერთს მშვიდობიანს და ღარიბ ოჯახში—გვწერს ჩვენი კორრესპონდენტი,—ამ წასულს მაისში მოიყვანეს ქუთაისიდამ ერთი იქაური აზნაური გვარად გ—ელი, რომელსაც ამ ხუთიექვსის წლის წინედ აქ, ტფილისში რაღაც უეცარის შემთხვევისა გამო ტვინი შერყევია და გაგიჟებულა. ამ უბედურის ცოლს იმ დღიდამვე ქუთაისის და ტფილისის უმაღლესი პირები უველა შეუწუხებია, რომ როგორმე დაებინავებინა სამკურნალოში სულით ავად-მყოფი ქმარი და ამ გზით ცოტათი მაინც შეღავათი მიეცა მის ბედკრულ ოჯახისთვის, რომლის სიცოდვე მდგომარეობას ვერაფერი კალამი, ვერაფერი ფანტაზია ვერ გამოჰხატავს.—მაგრამ ამაოდ: არ ვინ არ მიიღო საცოდავში მონაწილეობა!... ეხლა ეს საბრალო ავად-მყოფი იმყოფება ხსენებულს უბანში, მეორე ნაგორნის ქუჩაზე, რომლის მცხოვრებლები მუდმივს და განუწყვეტელს შიშში არიან ამის გამო. ეს რამოდენიმე დღე არის აგერ, რაც იმ ქუჩაზე, სადაც სცხოვრებს ავად-მყოფი, თითქმის დღითაც, ყველა ოჯახის ალაყაფის კარები დაკეტილია და ხალხის მოძრაობა შეწყვეტილი. საქმე ის არის, რომ გიჟი, უყურადღებობის გამო, თითქმის სრულიად თავისუფალია ასე, რომ მოუვა სურვილი თუ არა, წამოხტება საწოლიდამ და, ადამ და ევის ტანისამოსით, რაც ძალი და ღონე აქვს დაეშვება ქუჩისაკენ... თუ ვინმე შეხვდა წინ, ვაი იმის ბრალი!.. ასტყდება ყვირილი: «არიქა, მოვიდა გიჟი, დაიჭით, დაიმალეთო!» და სხ. დაედევნება საწყალს ქალი და კაცი, რის ვაი-და-ვაგლახით დაიჭერენ, გათოკვენ და მოიყვანებენ სახლში თავ-პირ-დამტვრეულს. ადვილი წარმოსადგენია, რა მდგომარეობაში უნდა იყვნენ ავად-მყოფის ცოლშვილნი და მათთან ჩვენც, მახლობლად და მეზობლად მცხოვრებნი!... რამდენჯელაც გვიკითხავს გ—ელის ცოლისათვის, რისთვის არ შეატყობინებ მთავრობას ამ საქმესთქო, მუდამ ერთი და იგივე პასუხი მოუცია მას ტირილით: „ა, ბატონო, რამოდენიმე სიღარიბის მოწმობა, მაგრამ რომ არაფერი გამოდის მათგან? დღე და ღამ მეც გიჟსავით დავრბივარ, მაგრამ ჩემი ვედრება ვერავის შევასმინე და რა წყალში გადავვარდე არ ვიციო“!

მე დარწმუნებული ვარო, ათავებს თავის წერილს პატივცემული კორრესპონდენტი, რომ, თუ არავინ დაეხმარათ ამ საბრალოთ, ბუნება თავისას იქმს: როგორც ეტყობა გ—ელის ოჯახობას, იგი ლუკმა პურიდამაც ხელ-დარეკილია და, რასაკვირველია, ხანგრძლივი სიმშილის შემდეგ, როგორც გიჟი, ისე მისი უბედური ცოლ-შვილიც, ამოემაღლებიან დედამიწას“...

გასაოცარია, ღმერთმანი! სეირნობის დროს ქუჩაში ძაღლს რომ კუდზე ფეხი დააჭირო, ათასი პატრონი და მფარველი გამოუჩნდება იმ წამსვე და აქ ამდენი ადამიანი ამ გვარს გაჭირვებაშია და არავინ ყურადღებას არ აქცევს, თითქო არაფერი იყოსო. ნუ თუ, სხვა რომ არა იყვეს რა, ამ სიდიდე ქალაქში, როგორიც ტფილისია, ერთი ორი კეთილი სული მაინც არ მოიპოვება, რომ როგორმე დაეხმაროს შორიდამ ჩამოსულს, უუკიდურესს მდგომარეობაში ჩავარდნილს ოჯახს?!.

ილ. ხონელი

ლია თთ. ამილახვრიანთ მამულზე და ჰხნავს და სთესავს ამ თავადების მამულებსავე. სამთავისში სულ 81 მოსახლე მკვიდრობს. თვით სოფელში არც ერთი ამილახვართაგანი არ მოსახლობს, თუმცა აქაური ეკკლესია მათის საგვარეულოს სამარხად ითვლება. ეკკლესიას ამ უკანასკნელს დროს ჭერი აქვს დაზიანებული და წვიმა სწვეთავს კედლებზე, რის გამოც შეიძლება ეკკლესიის მკვიდრი კედლები დაზიანდეს. ამ გარემოებას დღეს ყურადღება აქვს მიქცეული და ცდილობენ რომ კერძო შეწირულებათა წყალობით ძვირფასი ნაშთი ისტორიისა ჟამთა-ვითარებას და სტიქიონების გავლენას არ შეამუსვრინონ.

დღეობას მოსულმა თავად-აზნაურმა და გლეხობამ ლხინი გამართა. ლხინს ჩვეულებრივ ჭიდაობაც მოჰყვა. რამდენიმე რჩეული ფალავანი შეიკრიბა აქ და გულის ფანცქალით ელოდა საჯაროდ თავის ვაჟკაცობის გამოჩენის წამს. აი ჭიდაობაც გაიმართა, რომელსაც მოჰყვა ჩხუბი და დავი-დარაბა აზნაურებისა და თავადებისა. ხალხს მეტად უსიამოვნოდ დარჩა ეს ამბავი და ეკკლესიაზედ არისხებდა უსიამოვნობისა და უწესოების ჩამომგდებელთ. გლეხ-კაცობას მეტად აწყენს, რომ ერთი სრულიად უდანაშაულო გლეხი უბრალოდ გალახეს. ამ ამბის გამო თავი გამოიდეს ზოგიერთ აზნაურშვილებმაც, მაგრამ ბოლოს ისევ მშვიდობა არჩიეს ურიგო უწესოებასა. საკვირველია ზოგიერთის ჩვენის მაღალ-წოდების ვითომ და წარმომადგენელთ საქციელი. რადასაც მეტობენ, მედიდურობენ, კაცს, გლეხია თუ თავადი, ორ-გროშად არ აგდებენ, გალახვა კაცისა და უსიამოვნობის მიყენება ამ ჯურის წარმომადგენელთათვის სულ უბრალო საქმეა და აი სწორედ ამ გვარნივე თავს იწონებენ, ახალ-გაზდანი ვართ, განათლებულნი და ჩვენს მამა-პაპას ვჯობივართო. ის კი არა თუ მათი მამა-პაპა ძველს დროსაც, როცა ბატონ-ყმობა იყო, მაშინაც არ ეკიდებოდნენ საზოგადოდ ადამიანს ისე უადამიანოდა და უკაცურად, როგორც ეს ვაჟ-ბატონები სჩადიან.

რა კარგი კაცობა და რა დასაკვეხია, რომ გაუმაძღურო ლხინი და სიამოვნებს მთელს კრებას ერისას, მთელს გლეხკაცობას, რომელსაც გუშინ, გუშინ-წინ მუშაობით თავი მოუკლავს, ოფლი უღვრია და დღეს ეკკლესიის კარ-წინ ძლივს ისვენებს, ძლივს მხიარულება და ლხინი რგებია და ამ ორიოდ წამსაც სიხარულისას ხელს უშლიან ვითომ და განათლებულნი ახალ-გაზდანი. დღევანდელს დღეს გლეხს ძლივს უპოვნია თავისუფალი დრო, მოსულა ტაძარში სალოცავად, შევედროს ღმერთს, რომ მან მისცეს შემდეგისთვის ძალ-ღონე. შემდეგ ლოცვისა იგი გამოდის და იქვე იქარვებს დარდსა და ნაღველსა ლხინის და ჭიდაობის ცქერით. ნუ თუ ვინმემ ჩვენგანმა ამათ მხიარულობას და დროს გატარებას ხელი უნდა შეუშალოს? ნუ თუ ამ საწყალს გუშინ მუშაობისაგან დაქანცულს და დღეს შესასვენებლად მოსულს ხალხს ვინმემ ჩვენგანმა მხიარულობაში თანაგრძნობა არ უნდა გაუწიოს და მისცეს შეეწეობა რამდენადაც და როგორც შეიძლება? ჩვენი გლეხი თავის დღეში ეკკლესიის წინ არ შეიგინება—არ გაილანძღება. ამას ჩვენზედ მომეტებულად უყვარს ეკკლესია; სწამს იგი, მაგრამ რა ჰქნას საწყალმა გლეხმა, თავიანთ სახლში გაუძლოს სხვა-და-სხვა გაჭირვებას, თუ აქ ტაძრის წინაშე, სადაც წელიწადში ერთხელ ძლივს მოუხდება გლეხს პირჯვრის დაწერა.

მხიარულება და ჭიდაობა კიდევ დიდხანს გასტანდა, რადგანაც ჯერ კიდევ ადრე იყო, მაგრამ ყველა აღელდა, ყველას შეეზიზღა ზემოხსენებულთა საქციელი, რისთვისაც ხალხი იძულებული შეიქმნა უკმაყოფილოდ დაბრუნებულიყო შინისკენ. ერთის სიტყვით, დღეობამ უგემურად ჩაიარა.

ბ. ქვემო-ჭალის სკოლის მასწავლებელი ნიკო ლეონიძე, რომ ადრე ჩამოსულიყო და ეგალობებინა შეგირდებისთვის მთელი წირვა, ძლიერ სასიამოვნო იქნებოდა. შეგირდები გვიან მოვიდნენ და იგალობეს მხოლოდ უკანასკნელი საგალობლები.

ტფილისელი ო.—ი.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გაზ. „Московскія Вѣдомости“-ს ძალიან აწუხებს და აფიქრებს ის გარემოება, რომ რუსეთის შეძლებული და განათლებული ხალხი, რომელიც ათასობით თავს ანებებს სამშობლოს, საზღვარ გარედ მიდის და ზოგი იქაურ სამკურნალო წყლებზე ტყუილ უბრალოდ სარჩო-საბადებელს ანიავებს და ზოგი კიდევ სამუდამოდაც სახლდება რომელსამე უცხო ქვეყანაში და იქ უსაქმოდ, უქმ ცხოვრებაში ატარებს სიცოცხლესა.

ამიტომ სიხარულით ვეგებებით,— ამბობს გაზეთი, იმ ამბავსა,—რომელიც ამ დღეებში გავრცელდა, ვითომც მთავრობას განზრახვა აქვს, უცხო ქვეყნებში წასასვლელ „პასპორტს“ გარდასახადი მოუმატოს, 15 თუმნამდე ახდევინოს ყოველ წლივაო. ეს სასიამოვნო ამბავიაო. დროა, რაიმე ღონის-ძიება ვიხმაროთ, რომ აგები ხალხს უსაქმოდ და უმნიშვნელოდ საზღვარ გარედ სიარული მოვაშლევინოთ; იქნება ბევრი იმათგანი, რომელნიც ეხლა უცხოეთში ტყუილ-უბრალოდ სიცოცხლეს ჰლუპავენ, შინ დარჩომილიყვნენ და შეძლებისა-გვარად რაიმე სამსახური გაეწიოთ სამშობლოსათვისაო.

ეს ყველაფერი ძალიან კარგი. რასაკვირველია, უსაქმოდ საზღვარ გარედ ცხოვრებას და ფულების უთავ-ბოლო ფლანგვას, გაცილებით ემჯობინებოდა, რომ ყველა ეს უსაქმოდ მოსიარულე ხალხი შინ დარჩომილიყო და საქმე ეკეთებინა. მაგრამ საქმეც ის არის, რომ შინ კი გააკეთებდა რასმე? თუ აქაც ისევ ისე უქმად გაატარებდა თავის სიცოცხლეს, როგორც საზღვარ გარეთ ატარებს?

უბედურებაც ეს არისო,—ამბობს გაზეთი «Русскій Курьеръ»-ი, ეს არის ჩვენის საზოგადოებრივის ცხოვრების ერთი უმთავრესი ტკივილი, ერთი სამწუხარო მოვლენაო...

„ვინ არის აქ ბრალიო“,—კითხულობს გაზეთი და პასუხს კი არ იძლევა. იქნება ამ გაზეთს პასუხი აგოს „Московскія Вѣдомостъ“-მა, რომელიც ასე უწყრება განათლებულს ხალხს, საზღვარ გარედ რად ატარებ შენს სიცოცხლესაო.

*
* *

ბ-ნ მეშჩერსკიმ ისე რომ ვერა გააწყო-რა, ახლა სიზმრების წერას მიჰყო ხელი თავის „Гражданинъ“-ში.

დღეს უცნაური სიზმარი ვნახეო,—მოგვითხრობს უცნაური ბრწყინვალე თავადი. ყველა ჟურნალების და გაზეთების რედაქტორები და გამომცემელნი გამოსაცდელად მიგვიწოდეს, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომელი ჩვენგან რამდენად კეთილ-საიმედო კაციაო. გამოსაცდელ ოთახში ჩვეულებრივი სტოლი იდგა, მწვანე მაუდით დაფენილი, სტოლის გარშემო გამოსაცდელად დანიშნული კაცები ისხდნენ მწკრივად, სულ „ტაინისოვეტნიკები“ იყვნენო.

გამოუწოდეს ნოტოვიჩსა. დიდ ხანს სცადეს გაზეთ „Новости“-ის რედაქტორი, მერე დიდს ხანს ითათბირეს, ბოლოს გადასწყვიტეს და 10 ნიშანი (баллъ) დაუსვეს.

სხვა-და-სხვა წვრილმან გაზეთებსა და ფურცლებს იმის გამო, რომ ესენი პოლიტიკაზე არაფერსა სწერენ და უფრო შინაურ საქმეებს მისდევენ, ეხე იგი სხვა-და-სხვა პირებს ლანძღვენ და ტალახში ჰსვრიან,—$10\frac{1}{2}$ დაუსვეს.

„Московскія Вѣдомости“-ის, ბევრის ლაპარაკის შემდეგ, 7 ნიშანი გადაუწყვიტეს.

„Новое Время“-ს გამოუცდელად, გამოუკითხველად, პირ-და-პირ 12 დაუსვეს კეთილ-ზნეობისა და კარგის მიმართულებისათვისა.

მე კი,—გულ-ნაკლულად იძახის ბ-ნი მეშჩერსკი, 1 ნიშანი მომაკერესო.

არ ვიცით, რამდენად მცოდნე და სანდო კაცები იყვნენ ეს „ჩინოვნიკები“ და შეეძლოთ ყველა რედაქტორების რიგიანად გასინჯვა თუ არა,...

## უცხოეთი

**ინგლისი.** დღევანდელი რუსეთის გაზეთები მომეტებულად უფრო ინგლისზედ ლაპარაკობენ. «Новое Время»-ში დაბეჭდილია დიდი წერილი პარლამენტის იმ კრებაზე, რომელზედაც უარ-ჰყვეს გლადსტონის პროექტი ირლანდიის თვით-მმართველობის თაობაზე. წერილის მომწერი ლონდონიდამ ამბობს, რომ ეს დღე სწორედ ისტორიული დღე იყო პარლამენტისათვისაო. ვესტ-მინისტერის სასახლე ისე იყო გავსებული ხალხითა, რომ ნემსის ყუნწი არსად არ ჩავარდებოდაო. სადაც გაზეთების რეპორტიორები ისხდნენ, იქ ხომ საშინელი ვიწროობა და უალაგობა იყოვო. სტენოგრაფები ისხდნენ და პატარ-პატარა ქაღალდის ნაჭრებზედ სწერდნენ კრების ანგარიშსაო, ამ ნაჭრებს აძლევდნენ მოსამსახურეებს, რომელთაც ქვედა-სართულში მიჰქონდათ რეპორტიორებთან და ესენი სწერდნენ ლიტერატურულის ენით ანგარიშებს, აძლევდნენ იქვე ტელეგრაფისტებს და ტელეგრაფისტები კიდევ დეპეშით უგზავნიდნენ რედაქციებს. ამ სახით, საღამურმა გაზეთებმა, რომელნიც შვიდს საათზე იბეჭდებიან, დაჰბეჭდეს ანგარიში ყოველივე იმისი, რაც ექვსს საათამდე მოხდა კრებაზეო. სატელეგრაფო მავთული რედაქციიდამ პარლამენტამდე თითქმის ყველა გაზეთსა აქვს გამართულიო და ამისათვის არაფერს არ იხდის რედაქცია, რადგანაც გაზეთს სარგებლობა მოაქვს ხალხისა და საზოგადოებისათვის მით, რომ მალე ატყობინებს ქვეყანას ყოველსავე იმას, რაც საკანონ-მდებლო დაწესებულებაში გადასწყდებაო. სტენოგრაფებთანა და რეპორტიორებთან ისხდნენ სხვა ჯურის ხალხნიცა, რომელთაც წინ ედოთ ქაღალდი და ვარაუდით ანგარიშობდნენ, რამდენი კენჭი გამოუვა ირლანდიის პროექტსაო და რამდენი კენჭი იქნება წინაამდეგიო. ამ გვარ ხალხთან მიდიოდნენ სხვა-და-სხვა დასის წარმომადგენელნი და სანაძლეოსა სდებდნენ. ამბობდნენ, რომ ამ გვარის სანაძლეოებით კონსერვატორებმა რამდენიმე მილლიონი სტერლინგი მოიგესო. ეს სანაძლეოები არა მარტო პარლამენტში და ლონდონში იმართებოდა, არამედ მთელს ინგლისსა და ირლანდიაშიაცაო. აი დაიწყო საკამათო ბაასი. პარლამენტში ისევ ქრიამულია და არაფერი არ ისმის, ვინ რას ლაპარაკობს ან კითხულობს. წამოდგა პირველად ორატორი გოშენი, მაგრამ ირლანდიელები არა წყნარდებიან და გოშენი მოთმინებიდამ გამოდის. ორატორი ველარ იკავებს თავს და ლაპაკობს გაცხარებით. არამც თუ პროექტი, თვით მისი დიდებული დამწერი და შემდგენელიც-კი არ დაინდო ორატორმა. უნდა გენახათ ამ დროს, ამბობს კორრესპონდენტი, სახის მეტყველება გლადსტონისა, რომ მიხვედრილიყავით, რა ცეცხლის ალი ტრიალებდა მის გულშიო. გლადსტონი თვალს არ აშორებდა გოშენს, ხელებს ხან საფეთქელზე მიიდებდა, ხან თითების მტვრევით აღელვებული გულზე იწყობდა ჯვარედინად. პირველად ესმოდა, რომ ასე კადნიერად იხსენიებდნენ წევრნი ლიბერალებად ნამყოფის დასისანი. აქამდე ამ გვარნი კაცნი პროექტს და გლადსტონს ერთმანერთში არ ურევდნენ: თუ აძაგებდნენ პროექტს, ამავე დროს ულრმესს პატივის-ცემას უცხადებდნენ გლადსტონს.

გოშენის შემდეგ ილაპარაკა პარნელმა და, კორრესპონდენტის აზრით, ბევრი ავნო პროექტის საქმესაო.

პარნელის შემდეგ წამოდგა გაფითრებული გლადსტონი და, ეტყობოდა, საკვირველს ძალას იტანდა, რომ დამშვიდებული სახე მიეღოვო. ადვილი მისახვედრია, რა ძნელი იქნებოდა ეს მოხუცებულისათვის, რა ტკივილსა ჰგრძნობდა გულში, როცა მიხვდა, რომ პროექტის საქმე წაგებულიაო და სთხოვდა პალატას, თუ პროექტს არა, ის დედა-აზრი მაინც შეიწყნარეთ, რომ საჭიროა ირლანდიას მიენიჭოს თვით-მმართველობაო.

დაიწყო კენჭის ყრა. გლადსტონი იდგა ჩუმად და მიჰყურებოდა ტალანის კარებს აქ მიამბეს, რომ გუშინ, კვირას ეკკლესიაში ორი საათი გაატარა და მხურვალედ ლოცულობდაო. მე ვიფიქრე: ნუ თუ ჩვეულებრივი კაცი იმდენსავე სულიერს ტანჯვასა და წამებას ჰგრძნობს მეთქი, როცა ელის სასამართლოს განაჩენს, რამდენსაც გლადსტონი კენჭის ყრის მოლოდინის დროსა მეთქი! პარლამენტში დიდი ხმაურობა და მღელვარება ასტყდა; ქრიამული მეტის-მეტი იყო. კენჭები სცვიოდა ყუთებში და თან ამ დროსვე სთვლიდნენ კენჭების რიცხვს. აი დაიძახეს: 112 პროექტის სასარგებლოდ, 83 წინააღმდეგაო, მერე კიდევ 203 პროექტისა, 117 წინააღმდეგიო. ჯერ ასე განაწილდა ხმები, მაგრამ მერე უცებ შესდგა მატება პროექტის სასარგებლო კენჭებისა და იმატა წინააღმდეგმა ხმებმა. ბოლოს თავს-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ 311 პროექტისაკენ არის, 341 წინააღმდეგაო. ერთს წუთს ყველა დადუმდა, მერე ატყდა საშინელი ალიაქოთი და ქლავი-ქლუილი. ზოგი ქუდს ისროდა მაღლა, ზოგი ტაშს უკრავდა, იქნევდა ქოლგას, ჯოხს და ომში გამარჯვებულივით ჰყვიროდა. პარნელებმა მუშტები დაკუმშეს და რაღასაც იმუქრებოდნენ. პოლიციამ ჩამოაგდო მშვიდობიანობაო. დამწკრივდა ორად და მისცა გზა დეპუტატებს გამოსასვლელად. გლადსტონმა პირველმა გამოიარა. ზოგი ტაშს უკრავდა და ზოგი უსტვენდა გლადსტონს, მაგრამ მან ფეხი არ გააჩქარა და გამოიარა ამაყად თითქო ლომიაო. როცა გარტინგტონმა გამოიარა, მთელი ბრბო ხალხისა მიაწვა, გაარღვია პოლიციელთა მწკრივი და ლანძღვა გინებით მივარდა გაოცებისაგან უცებ შემდგარს სახელმწიფო კაცს. საბედნიეროდ, პოლიციელნი ინგლისისა, გამოცდილი ხალხია, მიხვდა მაშინვე, რომ უწესოება რამ მოხდებაო, შემოეხვია გარს გარტინგტონს და მალლა აწევდილის მუშტებით გაატარა მშვიდობიანად ზომიერი ლიბერალი. ჩამბერლენი არ გამოვიდა და არჩია პარლამენტის ბიბლიოთეკაში დარჩენილიყო, რადგანაც წინ-და-წინვე იგრძნო, რომ ვაი თუ ბიაბრუობა რამ მაჭამონო.

ასე თურმე გათავდა ისტორიული ღამე ინგლისის წარმომადგენლობისა ნაშუა-ღამევის 3 საათზე.

### წერილი რედაქტორის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო, შარშან გამოვაცხადე საყოველთაოდ გაზ. „დროებაში“, რომ ჩემ მიერ ამოჭრილს, მორთულს, თუ სადა ქართულს ასოებს, ჩემს დაუკითხავად ნურავინ ნუ გადიღებთ მეთქი და ვგონებ ამის ნება მქონდა კიდეც. მაგრამ დღეს ვხედავ, რომ ჩემის განცხადებისათვის ყურადღება არ მიუქცევიათ. განა შეიძლება, რომ მე მოვიგონო ასოს მორთულობა, ვიშრომო მის ამოჭრისათვის და მერე სხვამ ისარგებლოს ჩემის ნაშრომითა. სწორედ ასე მოქცეულა ქართულის წიგნის მაღაზიის პატრონი ბ-ნი გრ. ჩარკვიანი, რომელსაც აუღია და ჩემ-მიერ ნაკეთი ასოები აფიშებში ჩაურთავს.

ამისათვის განმეორებით ვაცხადებ, რომ ჩემის ასოების მსგავსი არავინ დაჰხატოს და არ ამოაჭრევინოს სხვას. წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქმნები მივმართო სასამართლოს, ან და სულ ხელი ავილო ამ ხელობისაგან, რადგან არავითარს სარგებლობას არ მაძლევს, რა-კი ასე მეპყრობიან.

გრ. ტატიშვილი

## გასართობი

**რატომ არ უყვარს ბისმარკს ქაღალდის სათამაშო სახლები?** ერთი ძველი მოთამაშე ბადენ-ბადენისა ამას წინედ მოგვითხრობდა, ბისმარკია დამნაშავე, რომ ქაღალდის სათამაშო სახლები აღარ არის და დაიკეტა გერმანიაშიო. აი როგორ მოხდა ეს საქმეო: 1865 წელს ბადენ-ბადენში ბევრი გვირგვინოსანნი პირნი მობრძანდნენ, თავის მინისტრებითა და დიპლომატებითა. თუმცა ისინი თამაშობაში მონაწილეობას არ იღებდნენ, მაგრამ ხშირად ადევნებდნენ ხოლმე თვალს თამაშობასაო. ერთხელ მოთამაშეთა შორის იყო ერთი ახალ-გაზდა, ახლად ჯვარდაწერილი ნემეცის ბარონი, რომელსაც ის იყო თავის მშვენიერი ცოლი მაერთო და დამოგზაურობდა. ახალ-გაზდა ბარონმა პირველში მოიგო, ხოლო შემდეგ ისე გაიტაცა თამაშობამ, რომ თავს

არ ანებებდა, თუმცა ცოლი სთხოვდა და ქმუქმებდა თავი დაანებე. ბოლოს ბარონმა წაგება დაიწყო: ის რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო დიდს ფულზე თამაშობდა და სულ აგებდა. სახლეულობა და იქ მოსამსახურენი განსაკუთრებითის ყურადღებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მის თამაშობას და ხედავდნენ, რომ მისი სიმდიდრე ხელიდან ეცლებოდა. მაგრამ ის ფულით ფულის მოგებას ცდილობდა და ორიოდე გამარჯვების შემდეგ ისევ აგებდა. ამის შესახებ იცოდა ყველამ, მისმა ცოლმაც, და ბოლოს ბარონმა ყოველივე წააგო და მისთა მამულთა გაყიდვაც დაიწყეს. «ჩემო, არა, ეს საქმე ასე ვერ დარჩება!» ეუბნებოდა ცოლი, «თავს მოვიკლავ!»

ახალი რობინზონ კრუზო. ვინ მოიგონებს, რომ მეუღლე და გულის მომეგებელი ამბავი რობინზონ კრუზოსი, რომელსაც ყმაწვილობაში კითხულობდით, ჩვენს დროს დ განმეორდებოდა? ვინ ეცდებოდა ამას? კრუზოს კუნძულზე, რომელიც ქალაქს ახლოა მდებარეობს, ამ კუნძულზე ერთმა ვაჭარმა ცხოვრება დაიწყო და კუნძულის მცხოვრებლად დარჩა.

ეს ქალაქი განსაკუთრებით კრუზოს კუნძულის სახელით არის ცნობილი. ამ კუნძულზე ახალი რობინზონ კრუზო ცხოვრობს. ის ამბავს ყველასთან ამბობს, თუ რა შეემთხვა.

ამასობაში მშვიდად სცხოვრობდა წყნარად რობინზონ კრუზო კუნძულზე რამდენიმე წელიწადს და ამ ხანში რამდენიმე წერილი მოსწერა თავის ოჯახს. მა-

ხელი გარდაიცვალა. დარჩა ქვრივი, თავის ოჯახებითა ამ კუნძულის მცხოვრებლად და დიდხანს არავინ არ იცოდა. მაგრამ უცნობმა ერთ დღეს კრუზოს ქალაქის გამგეობამ ხელი მოაწერა, იმიტომ რომ ეს კუნძული და მოსახლეობა მისი დასახლებულია.

ქალაქის საზოგადოება კუნძულზე მცხოვრებლებისათვის ზრუნავს და ამ ამბავს დიდის ყურადღებით ეპყრობა.

მე ვამბობ „მოხელის“ შემდგომად ამ კუნძულის სახელით ეს კუნძული.

დეპეშა

7 ივნისს

პეტერბურგი. გამოცხადდა ახალი წესი იმისი, რომ მოკლეს ხნით სამსახურისათვის ჩინი მიიღოს უნტერ-აფიცრისა და აფიცრისა იმან, ვინც სამხედრო ბეგარას იხდის, აგრეთვე იმან, ვისაც უმაღლესი და საშუალო სწავლა მიუღია.

შინაგან საქმეთა მინისტრი რამდენსამე ხნით მიდის პეტერბურგიდამ ხოლოდ ისევ თავადვე იქნება ხელმძღვანელი და მიმართულების მიმცემი უფრო საყურადღებო საქმეებისა.

სახელმწიფო ბანკის გამგებელს ციმსენს ებოძა ორდენი ალექსანდრე ნეველისა.

«Journal de St.-Pétersbourg»-ი გვაუწყებს, რომ უმაღლესის სამეფოს სახლის წარმომადგენლად ბავარიის კოროლის დამარხვაზე დანიშნულია გენერალ-ადიუტანტი მენშიკოვი.

რუსეთის მთავრობამ პასტერის ინსტიტუტის სასარგებლოდ გადასდო 100,000 ფრანკი.

„Новое Время“ გვაუწყებს, დიპლომატიურ აგენტად ნამყოფი ქაირში ხიტროვო დაინიშნება ელჩად ბუხარესტში ურუსოვის მაგიერო, რომელიც გადაყვანილ იქნება ბრიუსელსაო; ეხლანდელი ადგილი ხიტროვოსი უჭირავს კოიანდერს, ხოლო ამის ადგილას ხოფიაში დაინიშნება იზვოლსკიო, ეხლანდელი სეკრეტარი ვაშინგტონის საელჩოშიო. პეკინში ელჩად დაინიშნება გენერალური კონსული მარსელისა კუმანიო.

კინეშმა. გუშინ დასაფლავეს ოსტროვსკი თავის მამულში ხოფელს შჩელკოვს. დასაფლავებაზე არაფერი ამბავი არა ყოფილა რა. დაესწრო დასაფლავებას მე მინისტრი ოსტროვსკი, მეორე ძმა მიცვალებულისა და დაი. ცოლი მიცვალებულისა, ფრიად მწუხარე ქმრის გარდაცვალების გამო, ვერ დაესწრო დასაფლავებას. საფლავი ჯერ დროებითია, ხოლო სექტემბერს გვამს მიცვალებულისას მოსკოვს გადაიტანენ «ნოვოდევიჩის მონასტერში».

ლონდონი. საფრანგეთის დროშის აღმართვამ ახალ-გებრიდის კუნძულზე დიდი მღელვარება მოახდინა ავსტრალიის კოლონიებში და აგრეთვე ინგლისშიაც ეშინოდათ, რომ, ვაი თუ ამ ამბავმა გაგვიგრძელოს საქმე საფრანგეთთანაო, მაგრამ გუშინ მთავრობამ გამოუცხადა საზოგადოებათა პალატას, რომ ფრეისინემ ბრძანა, აღსხენით დროშა ზემოხსენებულ კუნძულზეო, თუ მართლა იგი აღმართულ ყოფილაო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივნისის 9-დამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს 2 კვირით და 6 დღით არის.

ივნისი 30 დღით არის.

8 დღე კვირა. წმ. დიდისა მოწამისა თეოდორე სტრატილატისა, აღების-დამე პეტრე-პავლეს მარხვისა. მარხვაა ორი კვირა და ექვსი დღე. სომეხთა: ნახატონაქიკათ. დღესასწაული ყოვლად წმიდისა სამებისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—14: ტფილისში მზე ამოდის 4—25; ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 10—21 ღ. ჩადის 7—44.

9 დღე ორშაბათი. წმ. კირილე ეპისკ. სომ. წმ. ქალწ. მოწამ. რიფსიმესი. ნახატონაქი. კათოლ. ვიკენტისა და ფელიციანისა. მუსულმ: 19 დღე თთვისა რამაზან. დღე იმამ ალის დაჭერისა (შიიტებს). დაიწვა ტფილისში 1883 წ. საქმენი ობოლთა სასამართლოსი, არხივი და დიდი წილი ქალაქის საბჭოს საქმეთა და საქალაქო და სავაჭრო გამგეობისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—37. ტფილისში მზე ამოდი 4—25. ჩადის 7—38. მთვარე ამოდის 10—50 ღ. ჩადის 8—40.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივნისიდამ 1-ლ ივლისამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის გარისხისა | | | $2^1/_2$ › |
| › | › 2 | › | 2 › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | | $4^1/_2$ › |
| › | › 2— | | 3 › |
| › | › 3 | › | $2^1/_2$ › |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | | |
| 1-ლის ხარისხისა | | | $4^1/_2$ › |
| მე-2 ხარისხისა | | | $3^1/$ › |
| მე-3 — | | | 3 › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | | 8 › |
| | › 2 | › | 7 › |
| სუკი | | | 14 › |
| ცხვრის ხორცი | | | 7 › |

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდ-მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 35 | ბათუმი . . | — | — | 8 | 35 |
| ავჭალა. . . | 8 | 52 | 8 | 55 | ქობულეთი . | 9 | 25 | 9 | 28 |
| მცხეთა. . . | 9 | 13 | 9 | 21 | ნატანები . . | 9 | 54 | 9 | 57 |
| ქსანი . . . | 9 | 39 | 9 | 41 | სუფსა . . | 10 | 21 | 10 | 27 |
| კასპი. . . . | 10 | 6 | 10 | 9 | ლანჩხუთი | 11 | — | 11 | 3 |
| გრაკალი . . | 10 | 29 | 10 | 31 | ნიგოითი . . | 11 | 14 | 11 | 16 |
| გორი . . . | 10 | 54 | 11 | 4 | საჯავახო. . | 11 | 39 | 11 | 41 |
| ქარელი . . | 11 | 33 | 11 | 36 | სამტრედია | 11 | 56 | 12 | 15 |
| გომი . . . | 12 | — | 12 | 4 | კოპიტნარი . | 12 | 35 | 12 | 37 |
| ხაშური . . | 12 | 21 | 12 | 41 | რიონი . . . | 1 | 7 | 1 | 20 |
| სურამი . . | 12 | 53 | 12 | 56 | აჯამეთი . . | 1 | 32 | 1 | 34 |
| ფონი . . . | 1 | 24 | 1 | 27 | ყვირილა . | 2 | 11 | 2 | 26 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 14 | 2 | 34 | ძირულა . | 3 | 4 | 3 | 6 |
| მარელისი . | 3 | 3 | 3 | 5 | ბელაგორი . | 3 | 33 | 3 | 36 |
| ბელაგორი . | 3 | 32 | 3 | 35 | მარელისი . | 4 | 3 | 4 | 5 |
| ძირულა . . | 4 | 2 | 4 | 5 | ბეჟათუბანი | 4 | 34 | 4 | 54 |
| ყვირილა. . | 4 | 43 | 4 | 58 | ფონი . . . | 5 | 41 | 5 | 44 |
| აჯამეთი . . | 5 | 35 | 5 | 37 | | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | სურამი. . | 6 | 12 | 6 | 15 |
| რიონი. . . | 5 | 49 | 6 | 4 | ხაშური . . | 6 | 27 | 6 | 42 |
| კოპიტნარი . | 6 | 34 | 6 | 36 | გომი . . | 6 | 59 | 7 | 3 |
| სამტრედია . | 6 | 56 | 7 | 16 | ქარელი . . | 7 | 27 | 7 | 30 |
| საჯავახო. . | 7 | 31 | 7 | 33 | გორი . . . | 7 | 59 | 8 | 9 |
| ნიგოითი . . | 7 | 56 | 7 | 59 | გრაკალი . | 8 | 32 | 8 | 34 |
| ლანჩხუთი . | 8 | 10 | 8 | 14 | კასპი . . . | 8 | 54 | 8 | 57 |
| სუფსა . . . | 8 | 47 | 8 | 55 | ქსანი . . . | 9 | 22 | 9 | 24 |
| ნატანები . . | 9 | 19 | 9 | 22 | მცხეთა. . . | 9 | 42 | 9 | 48 |
| ქობულეთი . | 9 | 48 | 9 | 51 | ავჭალა. . . | 10 | 6 | 10 | 8 |
| ბათუმი . . | 10 | 41 | — | — | ტფილისი . | 10 | 25 | 10 | 55 |

ქუთაისიდამ გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 20 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 15 წამზედ.

რიონიდამ ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 30 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 20 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დ ი ლ ი თ | | | | | ღ ა მ ი თ | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 15 | სურამი. . . | — | — | 2 | 35 |
| ავჭალა . . | 3 | 38 | 3 | 41 | ხაშური . . | 2 | 47 | 3 | 2 |
| მცხეთა . . | 4 | 6 | 4 | 16 | გომი . . . | 3 | 26 | 3 | 31 |
| ქსანი . . . | 4 | 42 | 4 | 45 | ქარელი . . | 4 | 5 | 4 | 12 |
| კასპი . . . | 5 | 20 | 5 | 25 | გორი . . . | 4 | 53 | 5 | 8 |
| გრაკალი . . | 5 | 53 | 5 | 56 | გრაკალი . . | 5 | 40 | 5 | 45 |
| | ს ა ღ ა მ ო თ ი | | | | | დ ი ლ ი თ | | | |
| გორი . . . | 6 | 28 | 6 | 43 | კასპი . . . | 6 | 13 | 6 | 19 |
| ქარელი . | 7 | 24 | 7 | 29 | ქსანი . . . | 6 | 54 | 6 | 57 |
| გომი . . . | 8 | 3 | 8 | 7 | მცხეთა . . | 7 | 23 | 7 | 33 |
| ხაშური . . | 8 | 31 | 8 | 46 | ავჭალა . . | 7 | 58 | 8 | 1 |
| სურამი . . | 8 | 58 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | | |


განცხადებანი

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

საქართველოს მოკლე ისტორია
ფასი 60 კაპ.
(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

საქართველოს საეკლესიო ისტორია
ფასი 45 კაპ.

მერცხალი
ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. ქუთაისში: ჭილაძის მაღაზიაში. თელავში: ვ. როსტომაშვილთან; სიღნაღში: ვ. ქიტიაშვილთან; სურამში: ა. ქარსიძესთან; ფოთში: ხუმარაძესთან. ყვირილაში ბლად. ღამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ . . . შაურად.

(10—6)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—2)